სახელმძღვანელო მითითებები COVID-19-თან დაკავშირებით - გავლენა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

თებერვალი 2022



ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS), არსებული ვითარების გათვალისწინებით, აახლებს წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) ზეგავლენის შედეგად სუბიექტები, ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებისას. ცალსახაა, რომ მიმდინარე კრიზისი მნიშვნელოვან ეკონომიკურ გავლენას ახდენს სუბიექტებზე. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია COVID-19 პანდემიით გამოწვეული პოტენციური შედეგებიდან ყველაზე აქტუალურზე. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ გავლენა სხვადასხვა სუბიექტზე განსხვავებული იქნება, ამიტომ თითოეულმა საწარმომ და მომსახურე აუდიტორმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გააანალიზონ, კონკრეტულად როგორ მოქმედებს შექმნილი სიტუაცია საწარმოზე და რეგულარულად გადახედონ თავიანთ შეფასებებს.

კოვიდ-19-თან დაკავშირებით ძალაში რჩება წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციები, განსაკუთრებით ფუნქციონირებადი საწარმოს, სააღრიცხვო შეფასებების, რეალური ღირებულების შეფასებების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, აქტივების გაუფასურების და მმართველობის ანგარიშგებაში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ იხილოთ „სახელმძღვანელო მითითებები COVID-19-თან დაკავშირებით“.

დამატებით აქტუალური გახდა შემდეგი საკითხები:

ლიკვიდობის რისკი

გარდა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებისა და სხვა რისკებზე ინფორმაციის გამჟღავნებისა, სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ გამჭვირვალე ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში ლიკვიდობის რისკთან დაკავშირებით, როგორც ეს მოთხოვნილია ფასს 7-ის 39 და ბ10ა-ბ11ვ პარაგრაფების თანახმად. ფასს 7-ის 31-35 პუნქტების მოთხოვნების თანახმად, განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი უნდა იყოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს, შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების ბუნება და დონე.

COVID-19-ის გრძელვადიანი გავლენა

კორონავირუსის პანდემიამ უამრავ სუბიექტზე იქონია მნიშვნელოვანი გავლენა, რამაც კიდევ უფრო გაახანგრძლივა პანდემიით გამოწვეულ სირთულეებთან გამკლავება და აღდგენითი სამუშაოების პროცესი. აქედან გამომდინარე, ანგარიშგების მომზადებისას, სუბიექტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ გრძელვადიანი გავლენის შეფასებაზე, რაც პანდემიის შედეგად აისახა სუბიექტის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

COVID-19-დან აღდგენის პროცესი

იმ სექტორის წარმომადგენლებისთვის, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ზეგავლენა მოახდინა COVID-19-მა, ფინანსური ინფორმაციის უკეთ გასაგებად, ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმ მნიშვნელოვან განსჯაზე, შეფასებასა და დაშვებებზე, რომელიც შეიცვალა მიმდინარე ფინანსური თუ ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.
აღნიშნული მათ შორის მოიცავს, გამოყენებულ ძირითად დაშვებებს (და შესაბამის მგრძნობელობის ანალიზს), რათა განისაზღვროს არაფინანსური აქტივის გაუფასურების ან აქტივის გაუფასურების აღდგენის საჭიროება. ასევე, უნდა განისაზღვროს არაფინანსური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვის საჭიროება.

ასევე, აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდებში გაუფასურებული აქტივის აღდგენა უნდა შეფასდეს ბასს 36-ის 109 პუნქტის მიხედვით. აღნიშნული შეფასების პროცესში, სუბიექტმა, ყველაზე ცოტა უნდა გაითვალისწინოს გაუფასურების შიდა და გარე ნიშნები ბასს 36-ის 111-ე პუნქტის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს მუდმივი კომუნიკაცია აქვს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსთან (IASB), ფასს ფონდთან (IFRS Foundation), ევროკომისიის შესაბამის სამსახურთან, აუდიტის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ფორუმთან (IFIAR) და სხვა წევრ სახელმწიფოთა ზედამხედველობის სამსახურებთან, პროფესიის წარმომადგენლებთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან.

სამსახური ყურადღებით ადევნებს თვალყურს და აფასებს მიმდინარე მოვლენებს და საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს და გაატარებს აუცილებელ ზომებს.